# საქართველოს საავტომობილიო სპორტის ფედერაცია

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ 22.08.2025
სსსფ-ის ნებართვის ნომერი - გამოქვეყნდება დამატებით

„კოტეტას თასი 2025“

# შეჯიბრების დებულება
31.08.2025

# 1. ღონისძიების განრიგი

1. რეგისტრაციის დაწყების თარიღი - 12.08.2025
2. რეგისტრაციის დასრულების თარიღი - 27.08.2025 20:00 სთ.

**31.08.2025**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ადმინისტრაციული კონტროლი და ტექნიკური დათვალიერება | 11:00 – 12:00 |
| 2. | ბრიფინგი | 12:15 |
| 3. | კვალიფიკაცია | 13:00 |
| 4. | ნახევარფინალი 1 - კლასი 2 | 14:30 |
| 5. | ნახევარფინალი 1 - კლასი 1 | 15:00 |
| 6. | ნახევარფინალი 2 - კლასი 2 | 15:30 |
| 7. | ნახევარფინალი 2 - კლასი 1 | 16:00 |
| 8. | ფინალი - კლასი 2 | 17:00 |
| 9. | ფინალი - კლასი 1 | 18:00 |

# 2. ღონისძიების ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

**შეჯიბრების ორგანიზატორი:**

ლევან კოტეტიშვილის სახელობის ფონდი

**მისამართი:** საქართველო , თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,ზ.ფალიაშვილის ქ.,N9, ბ.3

**ტელ:** 577510909, 558451001

e-mail: Levankotetishvili.fund@gmail.com

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

1. ლაშა ნარსია - თავმჯდომარე
2. ზურა ვასაძე - წევრი
3. თორნიკე კოტეტიშვილი - წევრი

**ოფიციალური პირები:**

| | |
|---|---|
| შეჯიბრის ხელმძვანელი | არჩილ ნოღაშვილი - 595903669 |
| ტექ. კომისარი: | TBA |
| შეჯიბრების მდივანი: | TBA |
| შეჯიბრების ქრონომეტრაჟისტი | TBA |

# 3. შეჯიბრების ზოგადი პირობები

3.1. ღონისძიება იმართება „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე“
3.2. ტრასის სიგრძე - 1338 მ.
3.3. რბოლის მიმართულება - საათის ისრის საწინააღმდეგო
3.4. 2 ჩათვლითი საკველიფიკაციო წრე “კოტეტას თასი 2025“ რეგლამენტის მუხლი 11-ის შესაბამისად
3.5. 2 ნახევარფინალური გარბენი - ჯგუფი 1 და ჯგუფი 2 “კოტეტას თასი 2025“ რეგლამენტის მუხლი 13-ის შესაბამისად თითოეული კლასისათვის
3.6. ფინალი - “კოტეტას თასი 2025“ რეგლამენტის მუხლი 14-ის შესაბამისად თითოეული კლასისათვის

# 4. შეჯიბრების პირობები

4.1. შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსისა და “კოტეტას თასი 2025” რეგლამენტის შესაბამისად

4.2. მონაწილეებს რეგისტრაცია შეეძლებათ ონლიან, შემდეგ მისამართზე - https://forms.gle/mTsGCA9SXtywanzR8

4.3. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრების რეგლამენტის შესაბამისად.

4.4. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუჩეროს მონაწილეს განაცხადი, თუ მისი ავტომობილი არ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს.

4.5. ერთი ავტომობილით ასპარეზობის უფლება აქვს 1 (ერთი) მონაწილეს.

4.6. მონაწილეებს უფლება აქვთ დააყენონ ავტომობილზე ნებისმიერი ტიპის საბურავი თუ არ ირღვევა უსაფრთხოების ნორმები

4.7. მონაწილეებს შეუძლიათ ამოიღონ წინა და უკანა სავარძლები ავტომობილის წონის შემსუბუქების მიზნით (ისე რომ ინტერიერი ქარხნულ მდგომარეობაში დარჩეს).

4.8. ავტომობილით, რომლის ინტერიერიც არაქარხნულ მდგომარეობაშია (დაშლილია) მონაწილებოის შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია ეცვას სპორტული კომბინიზონი

4.9. ნებისმიერი მონაწილეს სარბოლო მონაკვეთზე ავტომობილით ყოფნისას ვალდებულია ეცვას სრულად დახურული ტანისამოსი (მოკლე შარვალი არ დაიშვება)

4.10. სარბოლო მონაკვეთზე ავტომობილით ყოფინისას მონაწილე ვალდებულია ეხუროს მოტო ან საავტომობილო ჩაფხუტი

4.11. ღონისძიებაში მონაწილების მისაღბად:

4.11.1 მონაწილე ღონისძიების დღეს უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის;

4.11.2 მონაწილეს უნდა გააჩდეს მართვის მოწმობა ან სსსფ-ს მიერ გაცემული პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზია

4.12. შეჯიბრება ატარებს ღია ტურნირის სახეს და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უცხოელ მონაწილეებსაც

4.13. <u>პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე,</u> როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში (მარტო დახურულ პარკში ყოფნის პერიოდის გარდა) ევალებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

4.14 დაიშვება წინა ან უკანა აღმძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები (კლასი 1) და ოთხივე აღმძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები (კლასი 2)

4.15 დაიშვება მხოლოდ სერიულად წარმოებული ავტომობილები

# 5. შენიშვნები და განმარტებები

5.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

5.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრება ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

# 6. დაჯილდოება

<u>გამოქვეყნდება დამეტებით</u>